ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3961130

ნომერი: AR1596605

თარიღი : 30.04.2018

გაცემის თარიღი : 15.05.2018

გაცნობის თარიღი : 15.05.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხევძმარი , N 67;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახი ჩხეიძე პ/ნ 01015009488
- თბილისი ორთაჭალის ქ. N 20

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 30 აპრილის AR1596605 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქ. N67-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.11.17.002.010) სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლლების განხორციელებას,

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიწის ნაკვეთზე საშენებლოდ გამოყენების პირობები დადგენილია 2013 წელს, გამომდინარე იქედან, რომ დღევანდელი მდგომარეობით შეცვლილია საკანონმდებლო რეგულაციები და კანონმქვემდებარე აქტები, განსხვავდება მოქმედი ქალაქმშენებლობითი პირობები, საჭიროა აიღოთ ახალი სამშენებლოდ გამოყენების პირობები. რისთვისაც შეგიძლიათ ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების უფლებით, ამასთან საჭიროა წარმოადგინოთ ყველა ის დოკუმენტაცია, რაც სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების დროს არის საჭირო:

- Ø ტოპოგრაფიული გეგმა;
- Ø გარემოს ამსახველი ფოტო სურათები;
- Ø საინფორმაცო დაფა/ბანერი;
- Ø საპროექტო ობიექტების განთავსების სქემა;
- Ø ექსპერტის დასკვნა მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ, ასევე მოკლე ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ (სავარაუდო გამწვანების პროექტის აღწერით).
- Ø საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო/საკვლევი ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით (მათ შორის, ნაკადების რაოდენობის მიმართულებების მითითებით).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2018 წლის 30 აპრილის AR1596605 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.